საქართველოს მთავრობის

დადგენილება №

2026 წლის ---- **ქ. თბილისი**

„ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილების 30-ე მუხლის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, ...) შეტანილ იქნას ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“

1. **დანართი N6 - ის - „ინგრედიენტების აღნიშვნა და მითითება“ ნაწილი „გ“-ს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-19 პუნქტი:**

„პუნქტი 19.

სურსათის კატეგორია	**აღნიშვნა**
19. ხედვის ძირითად არეალში ძეხვეულის (სოსისი, სარდელი, ძეხვი) დასამზადებლად გამოყენებული კონკრეტული ცხოველის ხორცის დასახელების მითითება	დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი რაოდენობა გამოყენებული ცხოველების ხორცის ([1]) საერთო მასის 50%-ზე მეტს შეადგენს.
([1]) - „ცხოველების ხორცი“ - არ მოიცავს „მექანიკურად განცალკევებულ ხორცს“	

მუხლი 2.

„ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებაში ცვლილებები ამოქმედდეს 2027 წლის 1 იანვრიდან.